

რეკომენდაცია

სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემისათვის დადგენილი საზღაურის

გამოანგარიშების თაობაზე

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად, ნოტარიუსი გაცემს სააღსრულებო ფურცელს ფულადი თანხის დავალიანების გადახდევინების ვადადამდგარი მოთხოვნის, ქონებაზე უფლების გადაცემის, აგრეთვე დაგირავებულ/იპოთეკით დატვირთულ ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიქცევის მოთხოვნის საფუძველზე, თუ ამაზე არსებობს მხარეთა შეთანხმება და ნოტარიუსის მიერ სანოტარო აქტში წერილობით განმარტებულია სააღსრულებო ფურცლის გაცემის სამართლებრივი შედეგები.

„სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 72-ე მუხლი ადგენს სააღსრულებო ფურცლის გაცემის წესებს, რომლის მე-5 და მე-6 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად, თითოეული უფლებამოსილი პირისათვის მიცემული სააღსრულებო ფურცელი დგება ორ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო ბიუროში.

იმ შემთხვევაში, თუ კრედიტორმა დაკარგა ან მოხდა სააღსრულებო ფურცლის დედნის დაზიანება, აღსრულების პროცედურა ვერ განხორციელდება და მხარეს ადგება ზიანი მითითებული მიზნით. ამ და სხვა მსგავსი გარემოების წარმოშობისას ამავე მუხლის მე-7 პუნქტი ითვალისწინებს სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის წესს მისი დაკარგვის ან დაზიანების (თუ დაზიანების ხარისხი გამორიცხავს სააღსრულებო ფურცლის გამოყენებას) შემთხვევაში.

„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილებით არ არის განსაზღვრული სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემისათვის საზღაურის თაობაზე.

იმისათვის, რომ არ შეფერხდეს სააღსრულებო წარმოება, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც დგება სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის აუცილებლობა, მიზანშეწონილია დუბლიკატის გაცემისათვის, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს ნოტარიუსის მიერ სანოტარო წესით დამოწმებულ და არქივში განთავსებულ დოკუმენტაციას, განსაზღვრულ იქნეს იგივე საზღაური, როგორც გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული დადგენილების 31-ე მუხლის მე-6 ქვეპუნქტით: იმ დოკუმენტის ასლის გაცემა, რომელიც ინახება სანოტარო ბიუროში - 3 ლარი.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ერთიანი პრაქტიკის დადგენის მიზნით

რეკომენდებულია,

სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემისათვის საზღაურად მიჩნეულ იქნეს 3 ლარი, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507 დადგენილების 31-ე მუხლის მე-6 ქვეპუნქტის შესაბამისად.

სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემის თაობაზე

კრედიტორის განცხადების ნიმუში

სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი გაიცემა კრედიტორის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადების საფუძველზე და მას ენიჭება დამოუკიდებელი სარეგისტრაციო ნომერი. კრედიტორმა განცხადებაში უნდა მიუთითოს იმ გარემოების შესახებ, რომლის გამოც ითხოვს სააღსრულებო ფურცლის მეორე ეგზემპლარის გაცემას. კრედიტორს ეკისრება კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა მოტყუებით სააღსრულებო ფურცლის მეორე ეგზემპლარის მიღების გამო. განმეორებით გაცემულ სააღსრულებო ფურცელში აღინიშნება, რომ იგი გაიცა განმეორებით უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე. კრედიტორი ვალდებულია, დაზიანებული სააღსრულებო ფურცელი დაუბრუნოს უფლებამოსილ ნოტარიუსს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაზიანებული სააღსრულებო ფურცელი ინახება აღმასრულებელთან. ამ შემთხვევაში. სააღსრულებო ფურცლის მეორე ეგზემპლარი გაიცემა კრედიტორის სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებისა და სასამართლოს აღმასრულებლის ოფიციალური წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

გთავაზობთ სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის დამადასტურებელი წარწერის ნიმუშებს:

ნიმუში #1

ორი ათას თექვსმეტი წლის -----, მე ნოტარიუს -----ს სანოტარო ბიუროში მდებარე ქ. -----
-----, მომმართა:-----როგორც კრედიტორის, სს -----)
უფლებამოსილმა პირმა და წერილობითი განცხადებით (ხელწერა დამოწმებულია ჩემს მიერ -----წელს
რN) მოითხოვა ჩემს სანოტარო არქივში, მდებარე -----ში, დაცული დოკუმენტის, კერძოდ: ჩემს
მიერ -----წელს, გაცემული სააღსრულებო ფურცლის დედანის მოძიება და მისი ასლის
დამზადება და ამ ასლის (დუბლიკატის) სისწორის დედანთან სანოტარო წესით დამოწმება. მე ნოტარიუსმა,-----
----- გავაფრთხილე რომ მას, როგორც კრედიტორის სს“ -----“ წარმომადგენელს
ეკისრება კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა მოტყუებით სააღსრულებო ფურცლის მეორე
ეგზემპლარის მიღების გამო.

მე, მოვიძიე სანოტარო არქივში დაცული სააღსრულებო ფურცელი, რომელიც გაცემულია ჩემს მიერ, -----
-----წელს რ#-----და რომლიდან დამზადებული ასლის (დუბლიკატის) სისწორეს
ვამოწმებ. ამ უკანასკნელში დაუთქმელი გადასწორებები, ამოფხეკილები არ არსებობს.

მე, ნოტარიუსი ვამოწმებ ამ ასლის (დუბლიკატის) სრულ შესაბამისობას დოკუმენტის დედანთან.
-----ის პირადობა დადგენილია, უფლებამოსილება და ქმედუნარიანობა შემოწმებულია
დამოწმდა ასლი 1 ეგზემპლარად და შესაბამისად გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 3.00 ლარი+ დღგ 0.54
ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის
საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი
გადახდევენების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” (29 დეკემბერი, 2011 წელი,
დადგენილება #507) 31 მუხლის და აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე
მუხლისა, ასევე რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, თანახმად ამავე დადგენილების 39-ე მუხლისა.

ნოტარიუსი -----.

ნიმუში #2

ორი ათას ----- წლის ----- ს, მე ნოტარიუს -----ს სანოტარო ბიუროში მდებარე ----- მომმართა კრედიტორმა: ----- (დაბ.-----წ., პ/ნ -----, მცხ. -----), რომელმაც წერილობითი განცხადებით მოითხოვა (ხელმოწერა დამოწმებულია ჩემს მიერ -----წელს რN----) ჩემს მიერ -----წელს გაცემული და ჩემს სანოტარო ბიუროს არქივში დაცული სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის გაცემა.

მე შევამოწმე მისი პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით (პ/ნ, საბუთის N, გაცემის თარიღი, გამცემი ორგანო) დავრწმუნდი მის უფლებამოსილებასა და ქმედუნარიანობაში თანახმად ხელშეკრულებისა -----.

ამასთან, მხარე გაფრთხილებულ იქნა რომ მას, როგორც კრედიტორს ----- ეკისრება კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობა მოტყუებით სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატის მიღების გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვამზადე სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი:

მე, მოვიძიე ჩემს სანოტარო არქივში დაცული სააღსრულებო ფურცელი, რომლის დამზადებული დუბლიკატის სისწორეს ვამოწმებ.

აღნიშნული დოკუმენტის დედანზე ამოშლილი, ამოფხეკილი, მიწერილი, გადახაზული (გადაშლილი) სიტყვები, წინადადებები და სხვა დაუთქმელი გასწორებები არ აღინიშნება.

(თუ დოკუმენტი დათქმული, ამოფხეკილი, აუკინძავი, აკინძული და/ან გადახაზულია კონკრეტულად მიეთითება რა ხარვეზი აღინიშნება დოკუმენტზე,

მაგალითად:

დოკუმენტის დედანში შეტანილია შესწორება მდგრადი მელნით, რაც დათქმულია ნოტარიუს -----ს ხელმოწერით და ბეჭდით)

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით მოვამზადე სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი:

/სავალდებულოა მითითებულ იქნეს სააღსრულებო ფურცლის დედანის სრული მონაცემები დაკოპირებული სახით/

აღნიშნული სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი გაიცა განმეორებით უფლებამოსილი პირის მოთხოვნის საფუძველზე.

ნოტარიუსი -----

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.11.2011 წ.) 31 მუხლის პუნქტის საფუძველზე 3 - (სამი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2 (ორი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.დ.გ. - () ლარი, ჯამში: ---- () ლარი.

საქართველო

----- წლის -----ს მე, -----ს, საქართველოს ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: -----, მომმართა: ბატონმა -----მ, რომელმაც განაცხადა, რომ სურს განცხადების ტექსტის შედგენა და მასზე ხელმოწერების სანოტარო წესით დამოწმება.

მე შევამოწმე მისი პირადობა მით მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად ბ-ნ -----მ (დაბად: -----წ. -----ში, მცხ: -----, პ/№----- --; პ/მ №-----;) მომმართა.

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

ბატონ -----ს, ნოტარიუსის მიერ განემარტა, რომ იგი ამოწმებს მხოლოდ განცხადებაზე მის ხელმოწერის სინამდვილეს და არა განცხადებაში მოყვანილი ფაქტის სიზუსტეს. შემდეგ შევადგინე განცხადების ტექსტი, რომელიც წაიკითხა ბ-ნ -----მ და განაცხადა, რომ განცხადებაში მოყვანილი ფაქტი შეესაბამება სინამდვილეს და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი ქვემოაღნიშნულ განცხადებას:

----- ნოტარიუსს

განცხადება

მე, მოვალის -----ს კრედიტორი -----, ჩემი ხელისმოწერით ვადასტურებ იმ ფაქტს რომ, ნოტარიუს ----- ის მიერ -----წელს გაცემული სააღსრულებო ფურცელი რ/N დაიკარგა (დაიკარგა ან დაზიანდა ისე, რომ დაზიანების ხარისხი გამორიცხავს მის გამოყენებას), რის გამოც, გთხოვთ, გასცეთ სააღსრულებო ფურცლის დუბლიკატი.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური: “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის #507-ე დადგენილების (29.11.2011 წ.) 31 მუხლის პუნქტის საფუძველზე - () ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 2 (ორი) ლარი და საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის საფუძველზე დ.დ.გ. - () ლარი, ჯამში: ----- () ლარი.

ნოტარიუსი